სახლი დაკეტილი იყო, რატგან პატრიოტი სამუშაოდ იყვნენ
გასულნი.

ესეც შენობა! კოფიქრე მე! ისე იწვის, თითქოს თოლის-
წამლით იყოს სხვეს.

რამდენიმე წიმის შემდეგ პოელი ერთო ცუცხლში გუჩ-
გუხებდა; კვამლი თვალებსა გვერვადა და ისეთი სიმხურეალე
მოდიოდა, რომ ტანისამოსის დაწეისა მომერიდა და უკან და-
ვიწიო.

ამ დროს მოირბინა ხალხმა ცულებით და წყლით: ზოგ-
მა გამოანგრია ლობე, რომელსაც ცუცხლი ასაიდან მოუდგე-
ბოდა, ზოგი-კი უშნოდ ლვრიდა წყალს; მხოლოდ იქ მდგომ-
ნი გაწუწეს. ერთი დედაკაცი წააქციეს და ცუცხლს-კი ოდნა-
ვად არ მიქარებია წყალი. მე არავერა უთხარი, რადგან სხვა
შენობებს შეში არ ჰქონდა, და ამ სახლის გადარჩენა-კი შე-
უძლებელი იყო.

უცბად ვილაცამ დაიყვირა:

— სახლში ბავშვია, პატარა სტასეკი?

— საღ?

— სახლში... ფანჯარასთან სძინავს თაბახში... ფანჯარა
რომ გატეხოთ, შეიძლება ცოცხალი გამოიყანოთ...

მაგრამ არავინ შეინძრა. ჩალა ვარვარებდა, ბომები იწო-
დნენ ვახურებული მავთულივით.

ଶୁନିଲା ଗାନ୍ଧୀର୍ପଦ୍ମଦେ, ଯୁ ହନ୍ତ ଗାସିଗଲନ୍ତେ, ଗାନ୍ଧୀର୍ପଦ୍ମଦେଖିଲାଏ
ଶାରୀରିମିଳିବର୍କନ୍ଦା. “ତାହୁ ଅନ୍ତରୀଳ ମିଳିଲି,” ବିଜୁପିକର୍ଣ୍ଣ, ମାତ୍ର ମେ ଶା-
ବାଲୁ ଦେବଶୈଖି ଦାଶବେଶବ୍ରତାରୁ. ଗ୍ରାହି ଶିଥିରେ ସାମାରିଲିଲା, ମୋରାମ୍ଭ
ରୂପ ଜୀବିତବ୍ୟାପକରୀ ପ୍ରସ୍ତରିଲା ..

— ଗାନ୍ଧୀର୍ପଦ୍ମ ବିନିମ୍ୟ, — ପ୍ରସାରିତର୍ଫଳରେ ଦ୍ୱାରା ଯାପୁଥିଲା,
ଶ୍ରୀମତୀ ଗର୍ଭଗାତ, ଏତାମିଳିବର୍କାରୁ ଏଠା ବାରିତ କାଶାତ୍ତ୍ୱଲେଲା.

— ଶେଷ ତିତିରିନ୍ ଶ୍ରୀମତୀ ମି ପ୍ରସ୍ତରିଲାମ୍ବି, ତା ଯତ୍କର୍ଣ୍ଣ କ୍ଷୁଦ୍ରିତ
ଦିନଙ୍କରେଥିଲା, ଶୁତ୍ରରୀର ପ୍ରାଣପାଦ. ଏହି ଶ୍ରୀମତୀରେଣ୍ଟିଲା ବ୍ୟାଧି;
ଦେବଶୈଖି ଶ୍ରୀମତୀରେଣ୍ଟିଲା ବ୍ୟାଧିରେଣ୍ଟିଲା, — ଏକାମିଳିନ୍ କିନ୍ତୁ ମନ୍ଦିରରେଣ୍ଟିଲା ..

“କାରଗି” ବିଜୁପିକର୍ଣ୍ଣ ମେ: “ଏନ୍ତରୀଳ ମିଳିଲି, ମେହି ପ୍ରସାରିତର୍ଫଳରେ...
ଶୁନିବା-କି ମିଳିବର୍କିଲେଗିଲା: “ହୁ ଯତ୍ତମ୍ଭୟ ମିଳିଲେଗିଲା ଏହିକିମ୍ବନ... ଗା-
ନ୍ତା ଏହି ବାଦ ଏହି ଦେବଶୈଖି? ଏହିକିମ୍ବନ ଗାନ୍ଧୀର୍ପଦ୍ମରେ ତାମିଳିଲାନ୍”...

ଶ୍ରୀମତୀରେଣ୍ଟିଲା ରୂପା ରୂପାପିତ ମିଳିଲା ଦ୍ୱାରାନ୍ତିଗିଲା.

“ଶୁନିଲା ଗାସିଗଲା... ପ୍ରସାରିତର୍ଫଳ କିମି ଦେଖିବାଲେବା... ଦେବଶୈଖି
ମାତ୍ରିଲେଗିଲା ହନ୍ତ ଏହିକିମ୍ବନ... ମୋରାମ୍ଭ ହନ୍ତ ମନ୍ଦିରରେଣ୍ଟିଲାନ୍”*

ଶ୍ରୀମତୀରେଣ୍ଟିଲା ମିଳିଲା ଶାଶ୍ଵତରେଣ୍ଟିଲା ତଥା ଦ୍ୱାରା ଯାପୁଥିଲା:

— ଦେବଶୈଖି ଦ୍ୱାରାନ୍ତିକିମ୍ବନ!

— ଦ୍ୱାରାନ୍ତିକିମ୍ବନ! — ଦ୍ୱାରାନ୍ତିକିମ୍ବନ ଶାଶ୍ଵତରେଣ୍ଟିଲା, — ପ୍ରସାରିତର୍ଫଳ ଶ୍ରୀମତୀ
ଦ୍ୱାରା ତିତିରିନ୍ ଦ୍ୱାରାନ୍ତିକିମ୍ବନ!

ମେହି ଗାସିଗଲା କିମି ଶ୍ରୀମତୀ ଶାଶ୍ଵତରେଣ୍ଟିଲା ଦା କିନ୍ତୁ କିମିଲା.

— ଗାନ୍ଧୀର୍ପଦ୍ମ!.. ଦେବଶୈଖି କିମିଲା!

— ମିଳିଲାନ୍ତିକିମ୍ବନ!

— ମେ କେବାର ଗାସିଗଲା, କାନ୍ଧିକେବା ଶାଶ୍ଵତରେଣ୍ଟିଲା. ପ୍ରସାରିତର୍ଫଳ ଦ୍ୱାରା
କୁମିଳିଶି ଗାସିଗଲା. ଗ୍ରାହି ରୂପା ରୂପାପିତ କିମିଲାନ୍ତିକିମ୍ବନରେ, ଦ୍ୱାରାନ୍ତିକିମ୍ବନ
ଦ୍ୱାରା ଏକାମିଳିବର୍କରେଣ୍ଟିଲା. ବିଜୁପିକର୍ଣ୍ଣ, ହନ୍ତ ତଥା ଏହିକିମ୍ବନରେ ଦା ଗା-
ଜୀବିତବ୍ୟାପକରୀ କୁମିଳିଶି କୁମିଳିଶି ଦା ଗାନ୍ଧୀର୍ପଦ୍ମରେ... “ହୁ ଶ୍ରୀମତୀରେଣ୍ଟିଲା ଗରନ୍ତିମିଳିବର୍କରେ-
କାରା, “ ବିଜୁପିକର୍ଣ୍ଣ: “କାରାକିମି ଏହିକିମ୍ବନ ମନ୍ଦିର ଦ୍ୱାରାନ୍ତିକିମ୍ବନ-
କାରା... ବେଳା ଏହିକିମ୍ବନ, ଗାନ୍ଧୀର୍ପଦ୍ମ କୁମିଳିଶି ଗାନ୍ଧୀର୍ପଦ୍ମରେ”...

ଏହି ଦ୍ୱାରା କୁମିଳିଶି ମିଳିଲା ଏହିକିମ୍ବନ କୁମିଳିଶି, ହନ୍ତମ୍ଭ
ଦ୍ୱାରା ଶାଶ୍ଵତରେଣ୍ଟିଲା ମିଳିଲା. ମିଳିଲା ଶ୍ରୀମତୀରେଣ୍ଟିଲା ମିଳିଲା କିମିଲା.
ଏହି ଦା ହନ୍ତମ୍ଭରେ କୁମିଳିଶି ମିଳିଲା ଗାସିଗଲା ଏହିକିମ୍ବନ, ଏହିକିମ୍ବନ
ଦ୍ୱାରାନ୍ତିକିମ୍ବନ, — ଏହି ଗାନ୍ଧୀର୍ପଦ୍ମରେ ଏହିକିମ୍ବନ ଏହିକିମ୍ବନ ଏହିକିମ୍ବନ.

— გაგიედი, — დაუყვირე, მე, — მანდ ლეშია და ართი ციცა
ზაფშვი!

— იაგნა, გამოიტრუნდი! — დაუყვირა ხალჩქი.

ჭერი ჩამოინცრა, ნაპერწკლები გაიფანტა აქეთ-იქით, ქა-
ლი დაიმალა კომლოში, მე-კი თვეალები დამიბნელდა.

— იაგნა! — გამეორდა საცოდავი ხმა.

— ახლავ!.. ახლავ!.. უპასუხა და ჩემკენ გამოირბინა,
ძლიერ მოჰყენდა ხელით ბავშვი, რომელსაც გაღვიძებოდა და
მალალი ხმით ტიროდა.

— ბავშვი კოტალი იყო? — ვეითხე მე ამხანავს.

— უვნებლად იყო.

— ის ქალი... და იყო ბავშვისა?

— არა, — მითხრა ამხანავშია, — სრულიად უცხო, სხვასთან
არის მოსამასურებელ და სულ თხუთმეტის წლისა იქნება.

— არა ეწო-რა?

— თვეზე მოსახევე დაეწო და თმები შეეტრუსა.

— აქ რომ მოყდომდი, დაერნახე, კარტოფილსა ფუჭვნი-
და და თან იმღეროდა; მინდოდა პატოობა გაღამებადნა, მა-
გრამ უცბად მომაგონდა ჩმისი გამბედაობა და ჩემი ციფა
მსჯელობა; სხვის უპედარების წინაშე... ისე შერცხვა, რომ
სიტყვის თქმაც ვეღარ გავბედე. აი ასეთები ვართ!.. დაუმატა
იმან და წკეპლით დაუწყო გლეჯა ბალახს.

ცაზე ვარსკვლავები გამოიჩნენ; ციფმა ქარმა დაპერა
და ტბილან მოისმა ბაყაყების ყიყინი და კიკერი ჩიტებისა,
რომელიც დასაძინებლად ემზადებოდნენ. ამ დროს ყოველ-
თვის მომავალის გეგმას ვადგენდით, მაგრამ ახლა ბაგეც არ
დაგვიძრავს, მხოლოდ გარშემო ბუჩქებიდან თითქოს ვაღაც
ნაგენურჩულებდა, „აი ასეთები ხართ“!..

ელ. ანტონოვსკისა.





აღმასანდრე სოლომონის-ებ ხახანაშვილი

25 ივლისს ქალაქ სამარის ახლო გარდაცვალია ქართველი მეცნიერი პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი. იმის მა გარდაცვალებამ თავზარი დასუა მთელ საქართველოს; ყოველ კუთხიდან მოდის სამძიმრის დეპეშები და წერილები; ყველა უზომნედ შტუხარეა იმის დაკარგები, რაღაც ის იყო დაუღალავი მკვლევარი თავის სამშობლოს წარსულისა და აწ-მყოს. არა თუ ქართველები, რუსების გამოჩენილი ადამიანებიც-ი დიდის შტუხარებით აღნიშნავენ იმის გარდაცვალებას, დიდ დინაკლისად სთელიან და თანამდებობას ვეიქადებენ როგორც ჩვენ, ისე საისტორიო მეცნიერების ტაძრს.

ალექსანდრე ხახანაშეილი გრძელი დეკინოზის შეისტანებული იყო. პირველ დაწყებითი სწავლა გორგაშვილ მიიღო; შემდეგ ტფილისის პირველი გიმნაზია გაათავი 1884 წელს ოქტომბერისთვის უნივერსიტეტი ფილოლოგიური ნაწილი და, ნიშნად განსაკუთრებულის ნიჭისა, იქაც თქმის მედალით დააჯილდოვა უნივერსიტეტი და იქვე დასტური ისტორიის პროფესორობისათვის მოსამაშადებლად. შემდევ იგი მიწვევის მოსკოვისავე ლაზარევის ინსტიტუტში ქართულ სიტყვიერების კათედრაზე, ხადაც ვანსკვენებული სიკლილამდე დარჩა.

ა. ხახანაშეილი ჯერ თითქმის ახალგაზდა კაცი იყო, რჩმილი ათის წლისა არ იყო, მაგრამ იგერ ოცდა ხუთი წელიწადით, რაც იგი დაულალავად ემსახურებოდა თავის ქვეყნის. იმს შეცადინებით იყო, რომ 1900 წელს ნება დართო მთაერობამ და მოსკოვის უნივერსიტეტში გაიხსნა ქართულ სიტყვიერების კათედრა, რომლის პრივატ-დოკუმენტადაც აღ. ხახანაშეილი იორჩიეს. უამისოდაც ბეჭრგვარის შრომით დატყირთულ ხახანაშეილისათვის იდგილი არ იყო ამ ახალი კათედრის მიღება და ხელმძღვანელობა, მაგრამ მას იმდენად სისარგებლოდ მიაჩნდა ეს საქმე, იმდენად უყვარდა თავისი ერი, მისი მწერლობა და ენა, რომ სიამოვნებით იდო თვეს ეს ახალი დიდი შრომა, მიიღო კათედრა, უსასყიდლოდ იკისრა ლექციების კითხვა და აღფრთთვანებული მხნეობით შეუტვა საქმეს, რადგან ამ კათედრის დაარსება მისთვის ერთგვარ ზეობრივ გამარჯვებას წირმოადგენდა.

ამ ოცდა ხუთი წლის განმავლობაში ა. ხახანაშეილი დაუწერია და დაუბეჭდია სამასამდე სხვა-და-სხვა გამოკვლევანი თუ მოსაზრებანი ქართველთა ყოფა-ცხოვრებისა, ზნეჩეულებისა და მწერლობის შესხებ, რაც ოცხე შეტ მოზრდილ ტომს შეაღენს. მაგრამ ამათ შორის ფრიად საგანძურო ნაშრომია „ისტორია ქართულის მწერლობისა მექანიზმები საუკუნეებდე“ და „ქართულ სიტყვიერების ისტორია,“ რომელიც

ოთხ დიდ ტომს წარმოადგენს. ჯერ იმის შეტიც არჩევადა მარტინ ბრესტი რი გაეკეთებინა ხახანაშვილს, მანიც უკედავი იქნებოდა იძინს სახელი. იმას გარდა ბერტი ნაწერები აქვს საქართველოს შესახებ ფრანგულსა, გერმანულსა და იტალიანურს ენებზე, რაც საშუალებას აძლევს ევროპიელთ ჩვენის ერთობის გაცნობისას.

აღ. ხახანაშვილი ერთ წელსაც არ გააცდენდა უსაქმოდ. მუდამ შრომობდა, იკვლევდა ტელო-ნაწერებს, დღე და ღამ ჩატყირებდა მათ, სწერდა როვორც რუსულსა, ისე ქართულ. ურნალ-გაზეთებში და დიდის გულ-მოდენებით იდევნებდა ოვალს ყოველს წერილმანსაც-კი თავის ქვეუნისას. იგი ზაფხულობით უმეტეს ნაშილიად ჩამოდიოდა თავის სამშობლოში, მიმოივლიდა ხოლმე ჩვენი ქვეყნის მიერდნილ კუთხეებსაც-კი და იკვლევდა იმის წარსულსა და აწ-მყს. ხან, როცა საქოროება თხოულობდა, მიღიოდა საზღვარ გარეთ - რომესა, საფრანგეთსა და ინგლისში, სადაც სჩერვედა და იკვლევდა იქაურს მუზეუმებსა და წიგნთ-საცავებში შენახულ ხელო-ნაწერებს საქართველოს შესახებ, აგროვებდა მასლისა და მეცნიერულად შემუშავებულს ჰეჭვდავდა.

მეტად ძნელი საშრომი ჰქონდა აღ. ხახანაშვილს. მათ გრამ თავ-დაუზუაველი მოღვაწე კიდევ იმდენს ახერხებდა, რომ დიდ მონაწილეობას იღებდა მოსკოვში მყოფ ქართველ სტუდენტთა წრეებში, ებრაებითდა სხვა-და-სხვა სამოღვაწეო პროგრამების შედგენაში, უმშადებდა სამშობლოს მომივალ საერთო მუშაკებს, და თავისი მაგალითით აწვენებდა მოსწავლე ახალგაზრდობას, რამდენად წმინდა მოვალეობაა დაჩაგრულ და ჩამორჩენილ სამშობლოს სამსახური.

ბუნებით მშეიღობიანსა და სათნო ხასრათის პატრიონს აღ. ხახანაშვილს სიყრმიდანვე არ უყვარდა ფუქსავატი ცხოვრება. თუ არ იკოდით უნ იყო, ვერც კი შენიშნავდით, თუ ის მეცნიერი იყო, იმდენად სადა და მარტივი იყო მისი ქცევა, ლაპარაკი, ჩატმა-დახურვა და მოელი მისი ცხოვრება.

ბა. მრავალებული იყო, ჩვეილის გულისა, და მხოლოდ, იტერაზე
კუტყობოდა ხოლმე ღრმა ცოდნა თავის საქმისა, სადაც წარმატება
შე იმის საშობლოს შეეხებოდა, უმისოდე-კი იგი ჩვეულებ-
რივ ადამიანთაგან არ განსხვავდებოდა. კულიფერში ზომიე-
რებას იცავდა, გარდა ერთი რამისა,— ეს იყო მისი გამუდ-
შებული შრომა და შეუწირებისადმი ხიცვარული.


ხახანაშვილმა მთელი თავისი ხალგაზრდობა, პირიდი ბე-
ჭნიერება, მთელი თავისი ძალ-ლონე შესწირა ერთხელვე სა-
თაყვანებლად არჩეულ საგანს—სამშობლოსათვის მოღვაწეობ-
ბას, მომეთა წარმატებას. და გააკეთა ის, რის გაკეთებაც
მხოლოდ ღვიძისგან არჩეული შეუძლიათ; შესწირა სამშობ-
ლოს სიცოცხლე და მისთან ერთად მთელი თავისი მონაგარი,
პატიოსანი შრომით დაზოგვილი შეძლება მომეთა განათლე-
ბის საქმეს უძრდერთ.

ის შეძლება. რაც მან „წერა-კოზეის“ სახოგადოებას
დაუტოვა, ორმოც-და ითი ითის შენეთამდევა, და ამით უკუ-
დავი მაგალითი მოგვეა იმისა, თუ როგორ უნდა ემსახუროს
პატიოსანი შეილი თავის შშობელ ერს, თავის ქვეყანას.

ეს ლირსეული მამულის შვილი დიდის მშიოთ გადმოასვე-
ნეს ქალაქ სამარიდან საქართველოში. რუსეთიდან დაწყებუ-
ლი ტფილისამდე ყოველ ქალაქში ეგებებოდნენ იმის ნაშთს
მადლიერი თანამემამულენი და ყურაცხლისა და დაუნის გვირ-
გვინებით ამჟობდნენ იმის პატიოსან ცხედარს. მთელი ხაქა-
რთველო, ყოველი შეგნებული მამულის შვილი მდუღარე
ტრენისთ დასტირიდა მას და ამგვარის გლოვითა და ვაებით
მიაბარეს მიწის დიდუბის ეკლესიის გალავანში იაკობ ვოგება-
შვილის გვერდით.

უკვდავია ხახელი დიდებული მამულის შვილის, სულ-მა-
ლი ქართველი მეცნიერის ალექსანდრე ხახანაშვილის!

განდევილი.



+ პროფ. ალ. სოლომონის-ძის ხახანა გვილის ხსოვნას.

„რად მოგვდა ასე ჟღურად,

ნერა სად ეშერებოდა?“



კვედილის შევმა ყორანშა
ჩრდილოდან გადმოიარა;
ისევ თორთოლდა, აკვნესდა
ქვაუნის წყლული და იარა.

საკაცობრიო სამსხვერპლომ
კულავ შეიწირა ზვარაკი;
მსხვერპლი მსხვერპლს გაჰყვა, შემცირდა
ისედაც მცირე ბანაკი.

სტირის და სტირის შშობელი,
ცრემლი არ სწყდება დედისა;
კუბოს ემხობა, ქვითინებს,
ქვითინებს ზვის ბედისა.

იგი საერთ ტრაპეზზე
სანთელიითა დწებოდა,
მისი შუქი და ნათელი
სიბრელეს ეფინებოდა.

ჰქონებოდა მისი სიცოცხლე,
მაგრამ ირ ენანებოდა,
რაღაც აც ლვაწლი იმ სოფლიდ
სამარალისოდ რჩებოდა.

სამშობლოვ, ჩემო მწუხარევ,
ის, ვინც ზრუნავდა შენსედა,
შენთვისვე მოკვედა და შენვე
მისისენევი მკერდზედა.

სიკვდილის შეგმა ყორანმა
დაგრჩისელა, გადაგვიარა;
ისევ ათისონლდა, აკვნესდა
კვეყნის წყლული და იარა.

გ. ქუჩიშვილი.





იაკობ გოგებაშვილი 35 წლისა.

იაკობ სვიმონის-ძე გოგებაშვილი

პირველი ნახევარი შეისრულა მიუღია მიდადებისა.

I

რა მგონია, რომ სრულიად საქართველოში იყვეს ამ ეამად იმისთანა წიგნის მცოდნე ადამიანი, რომელსაც არ გაეგონოს იაკობ გოგებაშვილის სახელი! მისი „დედა-ენა,“ „ბუნების კარი“ და სხვა მრავალი წიგნები ათასობით ეფინებოდა ყოველ წლის მთლიად ჩეკნ სამშობლო ქვეყანას. მათი დაბმარე-

ბით სწავლობდა ქართველი ბავშვი წერა-კითხვას; იგინე შეაჭარა გენდრენ საფუძველს სახალხო სკოლისას. ეს წიგნები გვისური თებერვალი თებერვალი საქართველოს ყოველ მხარეს: მის მთა და ბაჩს, მის მიწა-წყალს, მის ჰაეს, ჰაერს, მოსავალს. უმთავრესი ურადღება-კი მიქცეული იყო იმ ქვეყანაში დამინაცებულ ერის ტბოვრებაზე. ქართველი ერის წარსული და იშვიათ ენა, სარწმუნოება, ზე-ჩვეულებანი, გონიერობი და ქონგბრივი მდგრადი მარეობა მისი აწინდელი გაქირვება და გამამხნევებელი იმედი პრეცინვალე მომავალისა,— აი ის უმთავრესი საგნები, რომელთაც ყოველ წამს თავს დასტრიიალებდა გრძნობა-გონიერა განსვენებული ბრძენისა. ამნიორად გვაცნობდა სამშობლო ძველისა და ყოველ ლონის-ძიებას ხმარობდა, რათა შეეცვალებინა იყი ჩვენთვისაც ისე, როგორც თვითონ უცვარდა. მან კარგიდ იცოდა, რომ სწავლა-მეცნიერება საყოველთაო ძალაა; რომ ეს ძალა ქართველსაც ისე ამოუღება მთავარი, როგორც მის დაუძინებელ მტერსა. ამის გამო მოლვაწეობა იაკობისა მიქცეული იყო მასზე, რომ ეს დიდი ძალა — სწავლა-განათლება — დაეკავშირებინა სამშობლო ძველის სიკვარულისთვის. პატრიოტული გრძნობა და მეცნიერული განათლება, აი ის უპირველესი საგანი, რომელსაც სიტყვით, საქმით, მოლენი თავისი ცხოვრება მოღვაწეობით ემსახურებოდა ღიდებული მამულიშვილი!

II

იაკობ გოგებაშვილი დაიბადა 1840 წელს გორის მაზრის სოფ. ვარიანში. მოლენ ქართლში ვარიანი სახელ-განთქმულია თავისი გემრიელი, შემრგვა და თეთრი პურითა. სხვაფრივ-კი უფრო დასწუნია, ვიდრე საქები. იყი მდებარეობს დიდი ლი-ანვის მარჯვენა პირის, გორიდან შეიდი ცერსის მანძილზე. წყალ-დიდობას ლიახვი ხშირად გადავარდება ხოლმე სოფლის-

კენ, აქა-იქა სტოკებს გუბეებს და აჩენს ჰაობებს, ჰაშის გამო
ჰავებ ერთიანისა ვერ არის საღი და შეიძლება ეს იყვეს თა-
ვი და თავი მიზეზი იაკობის გამუღმებული ავაღმყოფობისა.
ამასთანავე იაკობის დედა, მის და ერთი დაც კლექით დახო-
ულიან. ფილტვების სნეულება იაკობის მთელი სიუცხლე
მოსეუნებას არ მძლევდა აა, თუ სამოცდა თორმეტ წლამდე
მიაღწია, ეს ၎ნისნება მისი გასამუარი სიფრთხილით და ხელ-
შეწყობილი ცხოვრებით.

რა წლის ბაჟშეი მიაბარეს კორის სასულ. სასწავლებელ-
ში და, როცა ექ სწავლა გაათავა, გადაყვანილ იქმნა თბილ.
სასულ. სემინარიაში, დაბალი კლასიდან დაწყობილი უკანას-
კნელ კლასამდე იაკობი მიღიოდა პირველ მოწაფედ. მაღალი
ნიჭი, დაუღალევი მეცადინეობა და შრომის სიყვარული შე-
ღენდნენ მისი ბუნების დამამუშენებელ თეოსებათ. ხასიათით
იყო წყნარი, ხულგრძელი, კატ-მოყვარე, დიდი მლოცველი
და შემარხული. წწორედ ასეთიც უნდა ყოფილყო ის ყმა-
წვილი, რომელიც ლურის-მეტყველებს უკელაზე უდიდეს შე-
ცნიერებადა რაცხდა და წმიდა მამითა ცხოვრებას დღე და ღამ
გატაცებით კითხულობდა. მას ის ეამად ენატრებოდა ბერიბა
და არა მხოლოდ უბრალო ბერიბა, არამედ უკელაზე უფრო
ძნელი, მომჟირნო მოღვაწეობის ბერიბა — მეცვეტეობა.

1862 წელს დაათავა სწავლა და სემინარიაში, როგორც
პირველი მოწაფე, სახელმწიფო ხარჯით გაგზავნილ იქმნა კი-
ევის სასულ. აკადემიაში. ეს დრო იყო, როდესაც მთელი
რუსეთის ცხოვრება მესამეც წლების ზეგავლენით სდელდა
და გადმოდიოდა. თვით აკადემიაში დიდად განვითარებული და
მაღალი კონების პროფესიონები კითხულობდნენ ლექციებს.
იმავე დროს კიევში ხშირად მოღილენ და ცხოვრობდნენ ორი
წარჩინებული ადამიანები, — პიროვოვი და უშინსკი. ამათი
დიდებული სახელი ყოველ მაშინდელ ახალგაზდას პირზე ემ-
რა; მათი მოძღვრება და მაღალი მისწრაფებანი გასამუარი
სისწრაფით ეფინ ებოდა ამ ახალგაზდობის კუუა-გონებას. რაღა

თქმა უნდა, რომ იმისთვის ნიკიერ და ცნობის მოყვარე კუმარა წევის, როგორიც იყო იმტროს იაკობი, არ გამოვპატიმოდ ეს მოძრაობა. შესძლებელთა, რომ სწორედ, ამ პიროვნების და უშინესების ზეგავლენით ჩაენერგა მას გულში სურვილი პერ დაფოგიური მოღვაწეობისა.

თვით აკადემიაშია ჩინგბული იყო დაუქენებული ტიბ-ლოსოფის, პიხოლოევის, პედაგოგის, სატრიის და სი-ტყვიერების ლექციების კოთხვი. ყველა მა ლექციებს არა თუ ისმენდა გულდადებით, არამედ მათ შინაარსს მოკლედ სწრება თავისთვის. მასაც არა სჯერდებოდა: დღე და ღამ განუწყვე-ტლად ხელში გერია სხვადა-სხვა თხზულებანი და მათი შე-სწორებით ავსებდა ლექციების ნაკლას. სწორედ ამ დროს, ამ აკადემიურ პირველ წელს მომდა იკვიბის სულიერ ცხოვრება-ში დიდად საყურადღებო მიმავი. იგი ხშირად დაისახებოდა უნივერსიტეტში და ისმენდა მომეტებულად საბუნების-ეტყვე-ლო ლექციებსა. ერთხელ ლექციის შემდეგ რაյობი გამოიუდგა პროფესიონელს, გაეტნო და რამდენიმე კითხვა მისცა. ნაცელად პასუხისა პროფესიონელთა ურჩია — წაკითხვა პუბლილტის „კოსმო-სისა.“ იმდევ დღეს იყიდა ეს დიდებული თხზულება დიდებუ-ლი ავტორისა და იწყო გულმოლენედ მისი კითხვა. კითხუ-ლობდა და რამდენიც წინ მიღიოდა, იმდენად მთელი მისი ლვითი-შეტყველური შეხედულობა, აზროვნები პარტი დაკი-დებულ ლაბაზ, მაგრამ უსაძირკვლო კოშკებს ემგზავსებოდა. „კოსმოსისაგან“ დაწყებული საქმე ხრულიად დამთავრია ფი-ზოლოგიის პროფესიონელა, რომლის რამდენიმე ლექცია მოი-სწინა იაკობში იმ დროს უნივერსიტეტში.

გაჩნდა საშინელი ბრძოლი მის სულსა და გულში. ლვის შეტყველური აზროვნება ჯიუტად ეფარებოდა ძევლებურ კი-ხე-კოშკებსა, მაგრამ ბუნების შეტყველების შედგარი იერიშები მიწასთან ასწორებდნენ ამ ხავს-მოკიდებულ კიხე-კოშკებსა და მათ ქვეშ თავშეფარებულ მოძლეობას შეუბრალებლად ერე-კებოდნენ გარედ.



ეს ბრძოლა, კოტის გაწყდა, კინაღმაშ დიდი უსტრუტების
არ გათვალისწინება. წლის დამლევს ტფინის ანთებით გახდა ავად და
მა დროს იყო თუმცა ეპიზოდი. როდესაც ბერეზე მყიდა მისი სი-
კოცხლე. რამდენსამე კვირის შემდეგ ამ ავადმყოფობას ია-
კობდა შემიღობით დააღწია თავი, მაგრამ მისგან დაძაბუნებულ-
იგებულების მხლა სხვა დაუძინებელი მტკრი იღმოაუჩნდა: და-
აწყებინა ხევლება, რომელიც თითქმ შეყუჩნდა ზაფხულის გან-
მეოღობაში, მაგრამ, დადგა თუ არა რუსეთული ზამთარი თა-
ვის მეაცრი ყინვებით, ხევლის უძარა, ზედ დაერთო გამდე-
ბებული სიცხე, რის გამოც ხშირად მოსალისად სავადმყოფო-
ში წოლა. შეხამე წლის შემდეგ სისხლის ლებინება და სხვა
ნიშნები ჰქონდათ ცხადად აღმოაჩნდა.

ექიმების გადაწყვეტილებით აკადემიის მოთავრობაში უწիნი
იკითხება — სამშობლო ქვეყანაში დაბრუნება. მწარედ დაღონე-
ბულმა, თითქმის სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა ახალგაზ-
და სტუდენტმა გამოსწია საქართველოსკენ. როდესაც ცოტა-
ოდენად მოიმჯობინა, შევიდა სიმსახურში. გამწევებულ იქმნა
თბილ. სისულ. სასწავლებლის გეოგრაფიისა და არითმეტიკის
მასწავლებლად. გაშინ სემინარია და ეს სისწავლებელი ერთ
შენობაში იყვნენ მოთავსებულნი. ამავე შენობაში დაბინავდა
ახალგაზდა მასწავლებელიც.

III

საშინელება იყო იმ დროინდელი მდგრადიარეობა უბედული სემინარიისა! წლიურ სახარჯოდ თვითეულ მოსწავლეზე სულ ხუთა-ექვისი თუმანი იყო მთავრობისაგან გადადგული. რაღა თქმა უნდა, ცოტაა, მაგრამ იმ დროის მიხედვით რომ კიანგარიშოთ, ამ ფულით ცხოვრება შესაძლებელი იყო. უბედურება იმაში იყო, რომ ეს გროვებიც სრულიად არ ხდიადებოდა მოსწავლეს. უფროსიდან მოკიდებული სულ უმცროს მოსამაშახურებდე ყველანი თითქმის განცხადებით იპარვედნენ.

ამის გამო როგორც სმი და ჭამი, ისე ჩატა-დახურვა მოგვიწიფრება
კლებისა ღვთის ანაბარის იყო მიგდებული. გამხდარ-გაუქიმი
ლებულნი, გელათის გლახისავით აბრამშულნი, თავით ფეხებიმა
დე უსუფთაონი, ძალა-უმადურად ატარებდნენ იგინი თავიანთ
კარხაკეტილ ბურსაკულ ტოვებას. ამაზე უფრო უარესად
იყო დაყენებული სწავლა-აღზღის საქმე. ერთიც და მეორეც
მხოლოდ შიშისა და მრავალგვარ სასჯელებე იყო დამყარებუ-
ლი. ასწა გაკვეთილისა მაშინდელ მასწავლებელს ფრერადაც
არ მოუკიდოდა.— აქედან აქამდის—იტყოდა იგი და გულდა-
შეკდებით გაეიდოდა კლასიდან

რადგან მთლიად სასწავლებელში ძრიელ ცოტანი იყვნენ
ხეირიანად მცოდნენი რუსული ენისა, ამის გამო აღსნით, თა-
ვის სიტყვით გაკვეთილის დასწავლა შეუძლებელი იყო მოსწა-
ვლეთა დიდი უმრავლესობისათვის. ამის გამო კაპეკური, უა-
ზრო ზეპირობა ტვინსა და კონებას ულაყავდა საბრალო მო-
სწავლებს.

უმთავრესი საგანი სწავლებისა იყო საღმოთ სჯული. იწ-
უობოდა იგი უმცროს კლასში და თავდებოდა მემვიდეში.
მთელი წეიდეტ-თვრამეტი წელიწადი და ხშირად მეტიცა მო-
სწავლეს უნდა ეზეპირნა, ელექტრო ეს საგანი და მაინც-კი ვერა
გამოეტანა-რა, გარდა მის მიმართ განუზომელი სიძულვილი-
სა. ამ სიძულვილს ორკულებდა ყოველ კვირა-უქმე დღეებში
აუცილებელი და ხანგრძლივი გაშეშებული დღომა ეკლესიაში
მონასტრული წირვა-ლოცვის დროსა. ფეხზე დგომით არაქათ-
გამოლეულ მოსწავლეებს ხშირად უწუბდებოდათ გული;

მოსწავლე მასწავლებელნი თუ მტრულ ბანაკად იყვნენ
გაყოფილნი. ბურსაკების სამაგალითო ამხანავი, ნამდვილი
გმირი ის იყო, რომელიც უფრო მეტ უსიამოვნებას აეკნებდა
უფროსებს. სიბრივე და უზღელობა, საზიზლარი ლანძლვა-გი-
ნება და უწმაწური სიტყვა-პასუხი მრავალთაგან ლირსებად იყო
აღიარებული. მთელი ცხოვრება უბედური სასწავლებლისა
გონებრთი და ჩნდობრივი წყვდიადით იყო მოცული. და ამ

წყვდიაღში უცემ თინთო ბრწყინვალე ლამპარი გამარტინებასთან
ქველობისა და კაც-მოყვარეობისა. ეს იყო მაღალი პირებით
ნითელ-მოსილი პიროვნება იაკობ სეიმონის ძის გოგებაშეი-
ღისა.

IV

პირველ ხანად ავადმყოფობის გამო იაკობი განდევილი-
ვით ცხოვრობდა. არც თითონ დაიარებოდა ვისთანმე და არც
სხვანი დადიოდნენ მასთან. თვალზედაც მხოლოდ მაშინ გამო-
დიოდა, როცა თბილი შეიანი დღე იდგა და მასთანავე თუ
ნიავიც არსავდან არ იძროდა. მნიორად, მთელ თავის სიკუ-
ცხლეს იგი ატარებდა ორ პატარა ოთახში. მაგრამ ეს ორი
ოთახი ისეთ დაფილის იყო და ფანჯრებიც ისე იყო მოწყო-
ბილი, რომ ყველაფერი, რაც-კი შიგნითა ხდებოდა, ხელის
გულსახით იყო გადაშლილი მოსწავლეების წინაშე. უკანასკ-
ნელნი ხელავდნენ იაკობის განუწყვეტელ შრომის. გაკვეთი-
ლების მომზადებას მოსდევდა რეველების სწორება, ამას სხვა-
და-სხვა წიგნების კითხვა, ხოლო კითხვას—წერა ქართულად
და რუსულად.

უფროსი კლისის თითო-ოროლი მოსწავლეები ხანდისხან
დაიარებოდნენ მასთან და შემდეგ გამოპქონდათ შისი აზრები,
შეხედულებანი, მისწრაფებანი, რომელნიც ელვასავით ეფინე-
ბოდა მთელ სასწავლებელსა. მოსწავლეებმა იცოდნენ რა მო-
სწონდა, ანუ რა სძულდა იაკობსა; როგორ უცემროდა სემი-
ნარის აწინდელ ცხოვრებას და როს განხორციელება უნდო-
და მომავალში. იცოდნენ—რომელ ავტორებს უკრო მეტ პა-
ტიუსა სცემდა და იმ გამად რა წიგნებსა კითხულობდა. თი-
თონაც საიდგანდაც შოულობდნენ ამ წიგნებსა და მათ გაფა-
რიცებით კითხვაში ისწორებდნენ დღე და ღამეს. ამ წიგნებს
მერე თავს უყრიდნენ ერთად და მნიორად შეადგინეს ჩინებუ-
ლი კერძო ბიბლიოთეკა. რაკი იცოდნენ, რომ იაკობს სხვა-

და-სხვა წიგნების კითხვა ძრიელ უყვარდა, იმისთანა მოწიფერებულების-ც-კი წამოაელეს წიგნებს ხელი, რომელთაც სისტემური მდლენელოების კითხვა-ც-კი ესარემოდათ.



იაკობ გოგებაშვილი 40 წლისა.

საზოგადოდ, გოგებაშვილს ყველანი მოწიფებით შესცემ-როდნენ: პბაძავლნენ მას ყველაფერში და ასე გასინჯეთ იმის-თანა წერილ რამეებშიაც-კი, როგორიც არის სიარული, კო-ლო ლაპარაკისა, ხშირად ხმარება ამა თუ იმ სიტყვისა. ნა-ტრობდნენ მის ყურადღების დამსახურებას; ბედნიერად რაცხ-დენ თავიანთ თავს, როცა გახდებოდნენ ლირსი მისი ქებისა.

იმ დროს საქართველოს ექსარხოსად იყო მთავარ-ეპის-კოპტი ეკსევი, კაცი მრისხანე, მედილური, მუდამ ძირისის ფარისისა და ხავერდის კაბა-ანაფორაში გამოჭიმული, მარად მრავალი ორდენებით გულ-დაფარული. ყველაზე მომეტებუ-

ლად უკვარდა ცხონებულს წყევლა-ვინება ძვეშევრდომებისა, მთელ სემინარიის საშინელი შიშის ზარი და ცემულებულებისა, როგორ ექსარხობი იქ განიდებოდა. შემურთალ-შეშინებული, ფერ-წასული მასწავლებელნი უკრ-მოჭრილ მონებასევით და-დევდნენ უკან და მოწიწებით ევებებოდნენ მის უსამართლო და უშეერ ლანძღვა-გრინებისაც-კი. უნდა გენახათ პურისა კუბის ალ-ტაცება და სისარული, როდესაც ამ საფაგლობო მონებში ჩაე-რეოდა იაკობი წარბმევრული, ამაყად თავ-აღებული, ხმა-ღლა და თ-შემად მოლაპარაკე. რაღა თქმა უნდა, ექსარხოს-არ მოსწონდა ქსეთი ქედმაღლობა ახალგაზიდა, მასწავლე-ბლობისა. შორიდან ხშირად უთვლიდა შუქარასა, ახლო კი ვე-რაფერს უბედავდა. ისე არ მოჟიდოდა სემინარიიში, რომ ია-კობის გაკვეთილს არ დასწრებოდა და მაშინ უნდა გენახათ ეს საკვირველი კაცი, როგორ დატრიალდებოდა შოლმე ჯა-რასევით კლასში, როგორის უნარით აუდისნიდა მოსწავლეებს გაკვეთილს, გამეორებინებდა, დაასწავლიდა და ბოლოს მო-კლედ, კონსპექტურად, ჩააწერინებდა მის შინაარსს რვეუ-ლებში.

ექსარხოსის შენასკული წარბები ნელ-ნელა იხსნებოდა, მრისხანე სახეს სათნოანი გამოხატულება ეფინებოდა და ნა-ცვლად წინაღვევ დამზადებული შენიშვნებისა, ლოცვა-კურთ-ხევი გაღმოდოოდა მისი ბავილინ. „დიდი ნიჭის პატრიონია,— უთხრა დაბალის ხმით ერთ ამისთანა დროს რექტორსა,— ეს რომ მატერიალისტი არ იყვეს, ლირსია დიდი თანამდებობი-სათ.”

V

იყოს დღეში ორი გაკვეთილის მეტი არა ჰქონდა. ამ გაკვეთილების მომზადებისათვის, როგორც კარგად მცოდნე გმოვათვისა და არითმეტიკისა, ბევრ დროს არა ჰქონგავდა. როგორც დილით, ისე სადილოთ-უკან დიდი თავისუფალი დრო რჩებოდა. ამ დროს იაკობი განუწყვეტელ წიგნების კითხვას

და წერას ანდომებდა. რას სწერდა, ნამდვილ არავინ უფასასობისა
ჩემი-კი დადიოდა, რომ იყო ახალ მეთოდზე აღვენდა ან-
ბანსა და პირველ საკითხავ წიგნს. ეს ხმა მალე გამართლდა.
დაიბეჭდა პატია წიგნავი, რომელსაც, ვგონებ, ქართული ან-
ბანი ერქვა. დაიბეჭდა სამი ათას ცალამდე და იმავე წელს
თითქმის სრულიად გაიყიდა.

ესეც უნდა მომზდარიყო! იაკობის წიგნავი როგორც მე-
თოდით, ისე მასალით დაშორებითა სჯობდა სხვა ანბანებს,
რომელნიც-კი იხმარებოდნენ მაშინდელ ქართველ საზოგადოე-
ბაში. ამ გარემოებამ დიდად წაახალისა ახალგაზდა პედაგოგი-
მეორე წამქებებელ გარემოებად უნდა ჩაითვალოს იმ დროინ-
დელი განათლებული ქართველი საზოგადოების მისწრაფებანი.
კვირა ისე არ გავიდოდა, რომ ერთი კრება მაინც არ მომხდა-
რის რომელსამე ქართველი მოღვაწის ოჯახში. მესამოცე
წლების მოღვაწენი სათითოად და ჯვეულ-ჯვეულ გამოდიო-
დნენ საქვეყნო ასპარეზზე და თან გამოპქონდათ თევიანთ მდი-
დარი ბუნების მაღლიანი ძალა შემოისა და მოქმედებისა. ამ
კრებებზე გაცხარებული სჯა და ბაასი უმთავრესად ხალხის
კეთილდღეობას დასტრიიალებდა თავსა. ამ კეთილდღეობის
უპირველეს საშეალებად იყო აღიარებული სკოლა. და როდე-
საც სკოლაზე ჩამოვარდებოდა ლაპარავი, მაშინათვე სახელ-
მძღვანელოების უქონლობას მიექცეოდა ხოლმე ყურადღება-
ს უურადღება, რაღა თქმა უნდა, არ გომოებარებოდა იაკობ-
სა. მნიშვნელოვანი კიევის გავლენის აღვილობრივი გარემოებანიც
უერთდებოდნენ და მათის წყალობით გოგებაშვილის წინაშე
ცადად ირკვეოდა მისი მოღვაწეობის განსაკუთრებული გზა
და კვალი.


ქართულ ანბანს მალე მოჰყედ „დედა-ენაც“, ხოლო ამ
უკანასკნელს ორიოდ წლის შემდეგ მხარი დაუშვენა „ბუნე-
ბის კარშა.“ მცირეოდენი თვალის გადავლებაც-კი საკმარისი
იყო, რომ მაშინათვე შეგემნიათ უმინსკის ცნობილი სახელ-
მძღვანელოების გავლენა ამ წიგნების აეტორზე. „დედა-ენა“




და „ბუნების-კარი“ გამოიწვიეს „Родное Слово“² 1905 წლის 17 ნოემბრის 20 სტორედი ისე, როგორც ეს უკანასკნელი — კერძონულმა სახელმძღვანელოებმა. სამწუხაროდ სახელოვანი რესპუბლიკის პედაგოგი ადრე გარდაიცვალა, ჩვენში პედაგოგმა-კი ამ წლის დეკოლად მოატანა თავისი სიცოცხლე. პირველის წიგნებს მთაკულდა მადლიანი მარჯვენა, მეორე-კი თითქმის ორმოცური წლის განმავლობაში ფეხ-და ფეხ მისდევდა პედაგოგის განვითარებას და ყოველი სიკეთით, რაც-კი ამ განვითარებას მოსდევდა, ამიდრებდა და ამშენიერებდა თავის სახელმძღვანელოებს. ამის გამო დღეს განსვენებული გოგებაშეიღოს წიგნები ყოველგვარი თვისი ღირსებით იმდენად მაღლა სდგანან უშინსკის სახელმძღვანელოებზე, რომ მათი ერთმანეთთან შედარებაც-კი შეუძლებელი.

არბორელი.

(დასასრული იქნება).





მთელი საგენერო დღა.



თხ პპრილს მზის დაბნელება მოხდა.
ბევრმა თქვენგანმა უკუკელია გამუ-
რული შუშის საშუალებით დაინახა,
რომ მზეს რაღაც სხვა სხეული გა-
დაპირარებოდა.

- რა არის მიზეზი შეის დაპნელებისა? რისგან ხდება ეს მოვლენა?

ის სხეული, რომელიც გადაეფარება ხოლმე მზეს, არის ჩვენი კონბილი მოვალე.

ეს ასე ხდება: მოვარე დედამიწის თანამგზავრია და მის გარშემო ტრიკალებს; ერთ ასეთ შემოტრიკიალებას მოვარე ან-დომებს 27 დღე-ღამეს, 7 საათს, 43 წამს, და 11,5 წუთს. ყოველ შემოტრიკიალების დროს მოვარემ ერთხელ უნდა გაიაროს შტის და დედამიწის შეა. ეს მოხდება ხოლმე მოვარის განახლების დროს.

მთვარეს როგორ შეუძლიან მზე დამფაროს? მთვარე ხომ მზეზე პატარი არის? ან მთვარის ყოველ განახლების დროს ჩატომ არა ხდება მზის დაბნელება, თუ ზემოდ მოყვანილი არი შარითალია?

მოვარე შეეხე გაცილებით პატირა არის და მართლაც კერ შესძლებდა შეის დაფარებას, შეე და მოვარე ერთ მანძილზე რომ იმყოფებოდნენ დედამიწიდან. მაგრამ ეს საც არ არის:



მთვარე მხოლოდ 960,000 ვერსის მანძილზე იმყრილება დაუკავშირდება მიწიდან, მხე-კი 140 მილიონ ვერსის სიშორებება.


ამას გარდა მოვარე დედამიწიდან ყოველთვის ერთ მანძილზე არ იმყოფება — ხან უახლოვდება და ხან შორდება. ამიტომ არის, რომ მოვარე ხან დიდი გვერცენება, ხან პატარა.

არც არის გახვეურეველი, რომ პატარა მოვარემ დიდი
მზე დაპირობის და ის რატომ: ქსოვეათ, ტრიალ მინდობრზე
კვდგევართ და შორის კვედავთ რა მე დიდ შენობას. საქართვი-
სია თვალ-წინ ხელი ან ჩამე სხვა არა-მჭვირვალე საგანი
ავითაროთ, რომ სრულებით დაწყობის ის დიდი შენობა.
ამა ახლა მიუახლოვდეთ ამ შენობას და იგრვე საგანი ავითა-
როთ თვალ წინ. ახლა ასეთი პატარა საგანით ვეღარ დავთვა-
როვთ დიდ შენობას. სწორედ ეს კანონი მოქმედობს მზის და-
ბნელების დროსაც. მზე შორ მანძილზე იმყოფება დედამიწი-
დან, მოვარე-კი შედარებით ძლიერ ახლო. მიტომ როცა ეს
უკანასკნელი ჩადგება ხოლმე მზისა და დედამიწის შეა, და-
ჰვარებს მზეს დედამიწიდან შაყურებელთათვის.

სხვა-და-სხვა კიურ მნათობთა მიზნიდველობის ძალის გა-
ვლენა აქვს მოვარეზე, როს გამო ეს უკანასკნელი თავის მო-
გზაურობის დროს დედამიწის გარშემო ყოველთვის ერთ გზით
არ დადის და ამიტომ მოვარის განახლების დროს ყოველ-
თვის არ ხდება ხოლმე მზის დაბნელება.

როცა მოვარე დედამიწასთან ახლო იმყოფება, იგი იღა
მიანს შეზე დიდი ქავენება, და თუ ამ დროს მოხდა შის და-
ბნელება, მოხდება ხოლმე სრული დაბნელება, ესე იგი მოვა-
რე სულ მოლიც დაპფარებს შეს ადამიანის შედევლობიდან.
თუ მოვარე დაშორებულია დედამიწიდან შის დაბნელების
დროს, მაშინ მოვარე ჰერხავს მოლოც შის გულს, გარშე-
მო შეს რკალი არტყაი ხოლმე.

ხანდისხან დაიფარება ხოლმე ერთი ნაწილი შეის, როგორც ეს მოხდა, მაგალითად, ოთხ აპრილს.



მზის დაბნელება ჩრდილო კუნძულებზე მოხდება სიცვები სიმართლეში შორის კლებულით. მზე არასოდეს არ გნელდება. მას ჰქონდა ლავს ხოლმე ან სრულებით ჰქონდავს მთვარე და ამ მოვლენას ჩვენ ვეძახით მზის დაბნელებას. ის ეს როგორია ხდება: მთვარეს საკუთარი სინათლე არა აქვს. მას შუქს აძლევს მზე. ჩვენ რომ ნათელ მთვარესა ვხედავთ, ეს მზის ანარეფი სხივების შუქია. ხანდახან მზისა და დედამიწის შუა მთვარე ჩნდება ხოლმე; ასეთ შემთხვევაში მზის სხივები პატარება მთვარის მხოლოდ იმ ნახვარს, რომელიც


მოპრენებულია მზისაკენ, მეორე ნახვარი-კი წყვდიადით არის მოკული. სრული მზის დაბნელების დროს ეს წყვდიადი მოუწევს ხოლმე დედამიწამდე, მოეფინება $30 - 40$ ვერსის მანძილზე და მოძრაობს დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ. ამ რიგად მზის დაბნელება დედამიწის სხვა-და-სხვა ალიგას სხვა-და-სხვა დროს მოხდება ხოლმე.

წყვდიადს გარდა დედამიწას მოეფინება ხოლმე იგრედე ჩრდილი ანუ ნაგრილი მთვარისა. ეს ჩრდილი ფართოდ ეფონება დედამიწას ზედაპირს.

სრულ წყვდიადით მოკულ ადგილებში მოხდება ხოლმე სრული მზის დაბნელება, ხოლო დაჩრდილულ ალიგებში — ნაწილობრივით: დანარჩენ აღაგებს-კი მზე ჩვეულებრივად ანათებს. სრული მზის დაბნელება იშვიათი მოყონაა. უკანასკნელი



სრული მზის დაბნელება საფრანგეთში მოხდა 1794 წელს იქვე მოელიან 1999 წელს. რესეთში და კერძოდ კვევასიში მზე დაბნელდა 1851 წელს, ივლისში; ნაწილობრივი მზის დაბნელება მოხდა 1887 წელს და წარსულ თობ პრიოლს.




მზის დაბნელება.

ასე გრძელდება რამდენიმე წამი, შემდეგ-კი სინათლე ისევ გააჭანტავს წყვდიადს. მზე ძველებურად გაანათებს არე-მარეს.

სრული მზის დაბნელება მეტად საყურადღებო მოელენას წარმოადგენს. მზე ნელ-ნელა ჰერგავს შუქსა, არე-მარეს თან-და-თან ეფინება წყვდიადი. ეს მოელენა სიმშეიდეს ურლვევს ყოველ სულილეულს და შიშის ზარსა სცემს; მცენარეებზედაც კი მოქმედობს.

მართლაც საშინელებაა. ვა-კაშვაშებულ მზეს ცა-მოწმენ-დილზე რაღაც უჩინარი ნიკ-თიქტება გადაეფარება და სინა-თლეს ართმევს. დედამიწის ბნე-ლი მოიცავს. ცა ვარსკევლა-ვე-ბით იქვედება; ჰაერი ციცდება, ნელი სიო დაპბერავს. დრო-ვა-მოშევრით იმ ადგილას, სადაც მზე ანათებდა, ვამოჩნდებიან ცე-ცხლის ენები. ეს მზის გახუ-რებული ზედა პირია, წყალ ბა-დისა და გამძნარ რკინისაგან შემდგარი. ამას მეუნიკერები პროტუბერანცებს ეძახიან.

საკურორტელი არ არის, რომ ძველ დროში ადამიანის
შემის ზარსა ჰგერიდა მზის დაბნელება. მას ამ მოვლენის აღ-
სნა არ შეეძლო; ეკონა, მზეს ავი სული ეპატრონება და და-
დგა ქვეყნის აღსასრულიო. კველგან ცუდ ნიშნად სოვლიდნენ
მზის დაბნელებას. მტრის შემოსევას, შევი კირის გავრცელე-
ბას და შიმშილობას აწერდნენ ხოლმე ამ მოვლენას.



ტელესკოპი.

საფრანგეთი სხვებთან შედარებით განათლებული ქვეყა-
ნაა, და აქაც გავრცელდა უცნაური ხმელი მზის დაბნელების
დროს. მოელოდნენ შევ კირს; ხალხი შემინდა და სახლებში
იმილებოდა. ეს მოხდა მეორამეტე საუკუნეში. ჩინელები ამას
წინად დიდის ლრიანცელით და კიერით შეხვდნენ მზის დაბ-



ნელებას. ვითომ იმითი ჰსურდათ დაეფრთხოთ ბურუსტა/სწორა
რთი, რომელიც, მათი აზრით, მნათობს უპირებდა მოტაცე-
ბას. არა ნაკლები ხმები გაერცელდება ხოლმე მზის დაბნელე-
ბის დროს ჩვენში. განათლებით ჩვენი ხალხი სხვებზე წინ
არა სდგას და ამა მის საიდუან-ლა ექნება ნამდვილი წარმოდ-
გენა ამ მოვლენის შესახებ

1851 წელს მზის დაბნელების დროს საშინლად ოურმე
შეშინდა ხალხი სოფლებში. ბავშვებს ერთიამული და ტირილი
დაუდგათ; შეყენებმა ნახირი შემოზევეს სოფლებში; ძალებ-
ში ახმაურდნენ: დადგა ერთი წილკობა, ვიდრე ხალხი გონი
მოვიდოდა და დამშეიცდებოდა.

ჩვენ დროში შეცნიერებამ გამოიკვლია, რა არის მზის
დაბნელება და განათლებულ კაცს აღარ ეშინიან ამ მოვლე-
ნისა.

მზის დაბნელების დროს ყველა ქვეყნებიდან შეცნიერნი
და ვარსკვლავები-მრიცხელენი მოეშერებიან ხოლმე იჭიოვენ,
საიდანაც უფრო კარგად შეიძლება უურება და დაკვირვება. შეცნიერებს საგნის გამაზილებელი დიდი დურბინიდი (ტელე-
კოპი) აქვთ ციურ მნათობთა შესასწავლად და გამოსაკვლე-
ვად. იმ დაწესებულებებს, სადაც სწავლულნი შეცნიერულად
იკვლევენ ზეცას ტელესკოპებით, ჰქვიან ობსერვატორია.

კვების არის მოწყობილი ობსერვატორია თბილის-
ში და მისი განყოფილება — ქარსან ზი, შეცემის სადგურის
გასწერივ, არმაზის ახლოს.

მ. კლიმიაშვილი.





ପ୍ରାଚୀକରଣବିଦୀ

ନିଶାନ ମହିମାଙ୍ଗ.

(ତାର୍ଗମଣି).

ପରିତ ବ୍ୟେଳମ୍ଭିତ୍ତିରୁସ ସାହେଜିମରିନ୍ଦାନ ମହାରାଜ୍ୟେ ତଥୀର୍ବନ୍ଦା ଦ୍ୱାମନାଶୀଯିତ୍ବା, ରାମ୍‌ଭେଲ୍‌ସାର୍ପ ସିକ୍ଷ୍ୟଦିଲିତ ଫାଲ୍‌ଜ୍ଞା ତିକ୍ରନିର୍ଦ୍ଦା ଗାଢାଶ୍ରିପ୍ରେର୍ତ୍ତିଲାଳ. ତଥୀର୍ବନ୍ଦାଶୀ ଦ୍ୱାମନାଶୀଯ ଗ୍ରୂହ-ବ୍ୟୋଦିତ ଅଳୀକର୍ଣ୍ଣଦା ଦ୍ୱାମନାଶୀଯିତ୍ବା ଦା ମିଶ୍ରଯେଦା ପଠନ୍ୟଦା.

* ବ୍ୟେଳମ୍ଭିତ୍ତିରୁସ ତଥୀର୍ବନ୍ଦା ଦା ଗାଢାଶ୍ରିପ୍ରେର୍ତ୍ତିରୀତି, ମିଶ୍ରଯେଦା ଶ୍ରେଷ୍ଠମ୍ଭେଦେଖିଲାଳ ଦା ଦ୍ୱାମନାଶୀଯ ଉତ୍ସବଦ ଶ୍ରଦ୍ଧା ଦାନିଶାଖାକାଳ. ତଥୀର୍ବନ୍ଦାଶୀ ଏବେ ଶ୍ରଦ୍ଧା ଦାର୍ଶିରା: „ମିଶ୍ରଯେଦା ଶ୍ରେଷ୍ଠମ୍ଭେଦେଖିଲାଳ, ଦାନିଶାଖାକାଳ!“

ଦ୍ୱାର୍ଶିରା ଏବେ ବାହି ବ୍ୟୋଦିତ ମାଗରାଶ ଶ୍ରେଷ୍ଠମ୍ଭେଦେଖିଲାଳ ଅଭ୍ୟାସ ଏବେ ଦ୍ୱାମନାଶୀ ଏବେ ଗାଢାଶୀଯିତ୍ବା: „ମିଶ୍ରଯେଦା, ଶ୍ରେଷ୍ଠମ୍ଭେଦେଖିଲାଳ ଦାନିଶାଖାକାଳ!“

ସାହେଜିମରିନ୍ଦା ଉତ୍ସବକାଳି ତଥୀର୍ବନ୍ଦା ବ୍ୟେଳମ୍ଭିତ୍ତିରୁସ ଗାଢାଶ୍ରିପ୍ରେର୍ତ୍ତିରୁସାର୍ପଦା ଦା ଦ୍ୱାମନାଶୀଯ ଗାନ୍ଧାରାତ୍ରିଯିତ୍ତିରୁସାର୍ପଦା.

ଗାୟିଦା ରାମଦେବନିଃରେ ଦଲ୍ଲେ; ବ୍ୟେଳମ୍ଭିତ୍ତିରୁସ ରାଜିତା:

— ଦ୍ୱାମନାଶୀଯ ଦାନିଶାଖା?

— ଏହା, ତକ୍ଷେନି ଲିଙ୍ଗଦେଖୁଲେବାବୁ, ଗାନ୍ଧାରାତ୍ରିଯିତ୍ତିରୁସାର୍ପଦା.

ଗାୟିଦା ବ୍ୟେଳମ୍ଭିତ୍ତି ଦା ଗାନ୍ଧାରାତ୍ରିଯିତ୍ତିରୁସାର୍ପଦା.

— ତାହା ଗାଢାଶୀ ଏବେ କିମି ଦରଦାନ୍ତରେ ଏହା ଶ୍ରେଷ୍ଠମ୍ଭେଦେଖିଲାଳ?

— ଏହା, ତକ୍ଷେନି ଲିଙ୍ଗଦେଖୁଲେବାବୁ, ତକ୍ଷେନି ତିତାନ ଦାର୍ଶିରେତ, ରାମ ମିଶ୍ରଯେଦା ଦିନାତ.

— କିମ୍ବା କିମ୍ବା? ମହିଳାରୁଙ୍ଗେ ଏହି ଲୋକ କାଳାଲାଦେ!

ମାନୁଷଙ୍କୁ କାଳାଲାଦେ ଓ କ୍ଷେତ୍ରଫିଲ୍ଦେ ଦାରୁକିଂଶୁ
ଦୂରିତୀ, ଦୂରିକ୍ଷରଦୀ ଓ ଦୂରମାନୀ:

— ଯାଏବୁ, ଯାଏବୁ ନୁହିଲୁ, ଅଛିଲା ଗ୍ରେଗରିଆ ଶ୍ରୀକୃତିଲିଙ୍କ ଗାନ୍ଧି
କ୍ଷେତ୍ରରେବା.

ଅଭିନଦ୍ରନ୍ତ, ରାମନାଥୀଙ୍କୁ ଏମିଳି ଶ୍ରୀକୃତିଲିଙ୍କ ପାତ୍ରଗୀତିରେ ଓ ସାମାଜିକୀୟ-
ବିଦ୍ୟା ଯାହିଁ ଶ୍ରୀକୃତିଲିଙ୍କ, ମହାତ୍ମାଗାନ୍ଧି ବିପ୍ରବେତ୍ରପାତ୍ର ଦାସତ୍ୱରେ.

a.

ଆମ୍ବାର ପାତ୍ରଗୀତିରେ.

(ନିରାକାରପାତ୍ରଗୀତିରେ ରାଜତ ପାତ୍ରଗୀତିରେ-ମିଶର).

Gବ୍ୟାପାରକିତ ବାନତକ୍ଷମ୍ଭୁଲାଙ୍କ,—
ଏହାର ତକ୍ଷମ ଏହା ଗ୍ରୀକରୁଙ୍ଗେବା:
ଶାମିଜୀତ ସମ୍ଭାଲିଲା ପିନ୍ଧିତ୍ୟାନିବା,
ଏ ଅମ୍ବାର ଗ୍ରେଗରିଆରେବା!

ଭୁରୁତା-ଗାଢ଼ିଲାଲି ମିଳି ଶ୍ରୀଲି
ଶାମି ମିଳିରିନ୍ଦ୍ରୀସ, ମିଳିଶି କିମ୍ବାରେବା,
ଏମାୟ ଏହିକୁଣ୍ଡ ଦ୍ୱାରେତ୍ତେବା,
ଏମାୟ ଗମିରୁଲାଲ ଏମିଶବା!..

ଶ୍ରୀରାମିଲି ଏହି ତଥିଲି ସାମିଶାଲିଲା
ଲାମାଶିଶ ଓ ଶ୍ରୀରାମିଲିରୁଗାନ୍ତିଶ:
ଏମିଶି ଲାକ୍ଷଣିକ, ଶମିଲିରି ନାନାଶ
ଏହି ପ୍ରାପନ କଲାକ୍ଷେତ୍ରରେ ମିଳିଗାନ୍ତିଶ!

რ ე გ უ ს ი ღ.

(წარმოდგენილი ანდ. ბაქრაძის მიერ.)

3




6



”

ც



”



”




ამ რებუსის ნაწყვეტი ნახეთ მეორე გვერდზე.



ତମିଳ
୧ ,
ସାଲ୍ଲେହାଙ୍କ.




ବ
ବ



୩
୩



ଚିତ୍ର
ପାତା



ଅ-୭ ନେ-ତୋ ମନତାବସରାଲ ଶାଖାଙ୍କି, ଶାମନତାଙ୍କି ଏବଂ
ହେବାଙ୍କି ଆଣ୍ଟାରୀ-

ମାର୍ଗିଫର—ମାର୍ଗିଫର ରାଜ୍ୟରେଇ. ଗନ୍ଧାର୍ଯ୍ୟକାନ୍ଦି—ପାଲାମୀ ରେ
ମହାନ୍ଦି.

ର୍ଯ୍ୟାକୁମାର: ନିର୍ଜନମି ବିନ୍ଦୁ କୌରାଙ୍ଗାଳ ନୀ ବିନ୍ଦୁ, ରାମ ପାତା
ପାତାକୁମାର ପାତାକୁମାର.

ର୍ଯ୍ୟାକୁମାର ନିନନ ନାହାନିଦ୍ରା. ଗଥମପ୍ର. ତ. କ. ନ. ନାନ୍ଦିଲିଶ୍ଵରା

1912 წ. მიიღება ხელის მოზრება
 დასურათებულ საუმაწყილო ქურნალ ირკვევის
„ნაცარული“

◆ წელი ი დ ი დ ი მ ი რ ვ ე ◆

ურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არ-
 ჩეულ სარედაქტიო კომისიის ხელმძღვანელობით; მონაწილე-
 ობას ლებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

წლიურ ხელის მომწერლებს მიეკუმათ:

- | | |
|---|------------------------------|
| 24 წიგნი „ნაცარულისა“ | 12 წიგნი „ნაცარულისა“ |
| მცირე წლოვანთათვის. | მოზრდილთათვის. |
| საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს | |
| ◆ დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინალური იგავ-
არავი ალ. მირიანაშვილისა. ◆ | |

ფასი ურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა 5 მან. ნა-
 ხევარ წლით — 3 მან., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის
24 წიგნი — 3 მან. მოზრდილთათვის **12** წიგნი — 3 მან., ფუ-
 ლის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ქურნალი „ნაცარული“ მცირე წლოვნისათვის და მოზრდილთათვის
 1910 წ. ნება დართულია კავკასიის ოლქის სამასწავლის შზრუნვე-
 ლისაგან ქართულ სკოლებში სახმარებლად.

ხელის მოწერა შეიძლება ტფილისში — „ნაცარულის“ რედაქციაში,
 ზემოაღმიანის ს., გოლოვანი, პრ. № 8. რედაქტორი „ნაცარული“, გო-
 ლოვინსკი პრ. № 8. და წერა-კითხვის საზოგადოების წარმომადგენ-
 ლისამას, სასახლის ქან. ქუთაისში — ისიდორე კვაცარიძესთან, თ.
 მთავრი შეიძლთან, და მარიამ გუგუჩიშვილთან. ხამტრედიაში: იყანე-
 ბლადგუმებან, ფოთში — თეოტიოდე კანდენაჟთან. ბათომში — კნ.
 სოფიო ნაცარიძესთან და ტროიაშ ინასარიძესთან. დ. ხონში — კა-
 რერინე კასიიდის ასეულ ბახტაძესთან. ოზურგეთში — ლევ იმნაქე-
 სთან. თელავში — კანო პატარებელთან. ახალციხეში — კონსტანტი-
 ნე გვარაშვილსთან. ბაქოში — ფსილ ასეულედანთან და იყანე ელია-
 შვილთან. გორში — ნანო ლომაურთან და ჭეთევან ჭავახიშვილთან.
 სოხუმში — კნ. მარიამ ახმაბაძესთან. ვიათურაში — ივანე გრიევა-
 ურთან, განჯაში — ბ. აშოქეძესთან. ერევანში — კ თადეშვირიასთან,
 ხილნალში — ნ. ახმეტელაშვილთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე.

გამომცემელი თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.

„ნაკადული“-ს რედაქციაში

დ ۱



წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში
იუდება შემდეგი წიგნები:

- 1) ზღაპრები ვილპელმ და იაკობ გრიმისა. —ფასი. 30 კ.
- 2) ტომის თავგადასავალი, —თხზულება მარკ ტვენისა,
ფასი 50 კ.
- 3) რას გვიამბობს ოთახი, —თხზულება ავენარიუსი-
სა, ფასი 20 კ.
- 4) დასურათებული ასაწყობი ანბანი, —ფასი. 1 გ. — .
- 5) სკრუჭი და მარლენ, —საშობაო მოთხრობა ჩარლზ
ლიკენისია, ფასი. 25 კ.
- 6) დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები — პ. ქ.
ანდრესენისა, ერ. სერ. ტომბსონისა, გ. ინსაინი-
სა და რ. კიბლინგისა. ფასი 30 კ.
- 7) ბავშვობა და სიყრმე, —მოთხრობა ლევ ტოლ-
სტოისა, თარგ. ნინო ნაკაშიძისა, ფასი. 60 კ.
- 8) ორი მხატვარი, —თარგმანი დ. ავალიანისა ფასი . 15 კ.
- 9) სამშობლო ბუნების სარკე, დასურათებული სა-
ყმაწვილო მოთხრობები, —ივანე ელიაშვილისა
ფასი. 30 კ.
- 10) ამხ. „ცისკრის“ გამოცემა: —ლევ ტოლსტოის მო-
თხრობები, ფასი 5 კ.
- 11) შობა, მოთხრობა გურიის ცხოვრებიდან, —ნინო
ნაკაშიძისა ფასი, 5 კ.
- 12) ახალგაზრდა მეფის სიზმარი და დევი—ეგოისტი,
ორი მოთხრობა ისკარ უაილდისა, თარგ. ივ. მა-
კევარიანისა, ფასი 5 კ.